ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის აგვისტოს 13	№ 13 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოკვლევნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 157. წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნილ მუშათათვის მისაცემი გაალიერებული გამოსასვლელი დახმარების როოდენობისა და მიცემის წესის შესახებ.

„ 158. ყურძნის ღვინის ქაპანზიდვის საშუალებით გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ.

„ 159. ადგილობრივი მნიშვნელობის ბაზრობის კლასებად დანაწილების შესახებ.

„ 160. ა/კსფსრ ქალაქების ფარგალ-გარე მდებარე დუქნებში (სასმელების სავაჭრო) ყურძნის ღვინის ვაჭრობის შესახებ.

„ 161. მეტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

„ 162. ა/კ. საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო საკაქციო საზოგადოების ახალი სამგზავრო ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 163. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

„ 164. ჭიათურა-საჩხერის უბნით მუშათა და მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის აღდგენის შესახებ; ეჩმიაძინის კარიერიდან ქვიშის გადაზიდვისათვის გადასახდელი დამატებითი გამოსაღების ტარიფის განგრძობის შესახებ; მიმდინარე წლის საზაფხულო პერიოდში შეშის გადასაზიდავად არსებულ ა/კ რკ. გზ. ადგილობრივ წამახალისებელ ტარიფში ერევნის კომუნალური ტრესტის მოთავსების შესახებ.

„ 165. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და შარაგზების დანაწილებისა და მათთვის მიჩენილი ზოლის ნორმების შესახებ.

„ 166. შვიეტის დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის ფოთი-პორტის სადგურისაკენ მიმავალ ჩრდილო-სანაპირო შტოზე ვაგონების მისაყენებელად და აგრეთვე მანქაფის საშენი წვრილმანეულობის ვაგონობით გადასაზიდავად ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 167. ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 48 აკ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 9.

157. წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნილ მუშათათვის მისაცემი გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების რაოდენობისა და მიცემის წესის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ივნისის 20-ს თარიღისა და 141 №-რის დადგენილების (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის 140 №-ში 1927 წ. ივნისის 24-ს) შესასრულებლად, რა დადგენილებაც გამოცემულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნილთათვის მისაცემი გამოსასვლელი დახმარების შესახებ" 1927 წ. მაისის 13-ს თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 32 №-რი, მუხ. 335) მე-2 მუხლის თანახმად, რომელი დადგენილებითაც, სსრკ სხვადასხვა ადგილის სამრეწველო მნიშვნელობისა და შრომის ბაზრის პირობების მიხედვით, ა/კსფსრ ადგილები ზოლებად არის დანაწილებული და მეორე ზოლს მიკუთვნებულია ქალ. ბაქო, ხოლო მესამე ზოლს—ა/კსფსრ ყველა დანარჩენი ადგილი,—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება მიეცემა ისეთ მუშას, რომელიც საწარმოდან დათხოვნილ იქნება წარმოების ტეხნიკისა და ორგანიზაციის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით, შემდეგი რაოდენობით: მე-2 ზოლის ადგილას—საშუალო შრომის საშოვარი ორი თვის რაოდენობით, ხოლო მე-3 ზოლის ადგილას—საშუალო შრომის საშოვარი თვენახევრის რაოდენობით.

2. გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება დათხოვნილ მუშას მიეცემა შემდეგ ორ პირობაში:

ა) უკეთუ წარმოების ტეხნიკისა და ორგანიზაციის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით უწყებულ საწარმოში დათხოვნილ უნდა იქნეს, საერთოდ, არანაკლებ 10 მუშისა;

ბ) უკეთუ იგი არ შეიძლება გადაყვანილ იქნეს სამუშაოზე იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში და დაწესებულებაში.

შენიშვნა. გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება არ მიეცემა ისეთ მუშას, რომელიც დათხოვნილია მუშა-ხელის სასეზონო შემცირებისა, დროებით ნეფლეეულობის უქონლობისა და სხვა მიზეზის გამო, რაც დაკავშირებული არ არის წარმოების ტეხნიკისა და ორგანიზაციის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან.

3. შესამცირებელი მუშა-ხელის რიცხვის განსაზღვრისათვის საწარმომ ანგარიშში უნდა მიიღოს ის გარემოება, თუ ბუნებრივად რამდენი მუშა-ხელი დაიკლება, რამდენი მუშა გადავა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე, და ყოველი

ღონისძიება იხმაროს, რათა საწარმომ შეინარჩუნოს კვალიფიციური მუშები სათანადო გადაყვან-გადმოყვანით.

4. წარმოების ტეხნიკისა და ორგანიზაციის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით დათხოვნილ მუშას ბირჟა, უკეთუ კვალიფიკაცია თანაბარია, სამუშაოზე პირველ რიგში გაჰგზავნის სხვა დანარჩენ უმუშევრებთან შედარებით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ—ტის სატარ.-საკონფ განყოფ.

გამგის მაგიერ **ათაბეკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **შეფტელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1528 №-ში 1927 წ. ივლისის 16-ს.

დადგენილება № 32 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

158. ყურძნის ღვინის ჭაპანზიდვის საშუალებით გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ყურძნისა, ხილისა და ქიშმიშის ღვინისათვის აქციზის გადახდევინებისა და ასეთი ღვინის ვაჭრობის წესის შესახებ" 1924 წ. მარტის 28-ს თარიღით გამოცემული („მთავ. მოამბე" 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 123) დადგენილების მე-7 მუხლის შენიშვნის თანახმნდ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჭაპანზიდვის საშუალებით ყურძნის ღვინის იმ ადგილებში გადატანგადმოტანა, სადაც ღვინის აღნუსხვა არ არსებობს, შეიძლება, რამდენიც უნდა იყოს, დაუბრკოლებლივ და საგადასაზიდო დოკუმენტის გარეშე.

2. უკეთუ ყურძნის ღვინო აღნუსხვისაგან თავისუფალ ადგილიდან სხვა ასეთსავე ადგილას გადაიზიდება იმ ქალაქზე გატარებით, სადაც, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყურძნის ღვინისათვის აქციზის დადების წესის შესახებ" 1925 წ. ნოემბრის 6-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 76 №-რი, მუხ. 576) დადგენილების თანახმად, დაწესებულია ყურძნის ღვინის აღნუსხვა, დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესი:

ა) ასეთ ქალაქზე მევენახე-მეღვინის მიერ, აგრეთვე კერძო პირის მიერ პირად მოსახმარად ყურძნის ღვინის გატარებისათვის სოფლის საბჭომ უნდა გასცეს საგადასაზიდო დოკუმენტი ღვინის დაუბრკოლებლივ გასატარებლად. ამ დოკუმენტში აღინიშნება: მევენახე-მეღვინის ან კერძო პირის სახელი და გვარი, ღვინის მსვლელობის გზა, დანიშნულების ადგილი და რაოდენობა;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ასეთ ქალაქზე ყურძნის ღვინის გატარებისათვის იმ პირის მიერ, რომელსაც სასმელი საწარმო აქვს, და ყურძნის ღვინის აქციზს განსაკუთრებული საპატენტო გამოსაღების სახით (ერთდროული აქციზი) იხდის, არაპირდაპირი გადასახადის ინსპექციის აგენტი იმ ადგილისა, სადაც ღვინოა ნაყიდი, გასცემს საგადასაზიდო მოწმობას საამისოდ დაწესებული ფორმისას. ასეთი მოწმობა გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, უკეთუ ღვინის გამტარებელი წარადგენს მოწმობას ღვინის უაქციზოდ ყიდვის უფლების შესახებ, რომელი მოწმობაც გაცემული უნდა იყოს არაპირდაპირი გადასახადის ინსპექციის იმ ადგილის აგენტის მიერ, სადაც სასმელების საწარმოა.

3. ყოველთვის, როდესაც-კი ყურძნის ღვინო ჭაპანზიდვის საშუალებით გადაიზიდება ისეთ ქალაქში, სადაც აღნუსხვა არსებობს, გადამზიდველს თან უნდა ჰქონდეს არაპირდაპირი გადასახადის ინსპექციის აგენტის მიერ მიცემული საგადასაზიდო მოწმობა.

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურის მიერ პირად მოსახმარად ყურძნის ღვინის იმ ქალაქში მიზიდვისათვის, სადაც აღნუსხვაა, ხოლო არა უმეტეს 16 კილოგრამისა, რაც აქციზისაგან განთავისუფლებულია (სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 3-ს დადგენილება „სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყურძნის ღვინისათვის აქციზის დადების შესახებ“ 1925 წ. ნოემბრის 6-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. შენიშვნის დამატების თაობაზე“—სსრკ კან. კრებ. 1926 წ. 53 №-რი, მუხ. 390),—საგადასაზიდო მოწმობა საჭირო არ არის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. ივლისის 14. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1531 №-ში 1927 წ. ივლისის 20-ს.

დადგენილება № 332 აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 12.

159. ადგილობრივი მნიშვნელობის ბაზრობის კლასებად დანაწილების შესახებ.

სახელმწიფო სასარეწაო გადასახადის 1926 წ. სექტემბრის 24-ს დებულების 42 მუხ. თანახმად, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო ვომისარიატი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფარგლებში მომქმედი და ხანგრძლიობით არა ნაკლებ 7 დღისა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბაზრობა სოფლად: ზუგდიდის მაზრაში—ხობისა, ახუტისა, ჩხოროწყუისა, ხაბუმისა, ჯვარისა, წალენჯიხისა, რაჭის მაზრაში—ბუგეულისა და ლეჩხუმის მაზრაში—ცაგერის ბაზრობა, სახელმწიფო სასარეწაო გადასასადით დაბეგვრისათვის, მიეკუთვნოს, საბაზრო ვაჭრობის საპატენტო გამოსაღების ნახევართვიური განაკვეთების ცაბულის მიხედვით, მეხუთე კლასს (სახ. სასარეწაო გადასახ. დებულების მე-V დანართი).

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოვალ. აღმასრ. **ალანია.**

საგადასახადო სამმართველოს უფროსის მაგიერ **გურგენოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1531 №-ში 1927 წ. ივლისის 20-ს.

დადგენილება № 33 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

160. ა/კსფსრ ქალაქების ფარგალ-გარე მდებარე დუქნებში (სასმელების სავაჭრო) ყურძნის ღვინის ვაჭრობის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ყურძნისა, ხილისა და ქიშმიშის ღვინისათვის აქციზის გადახდევინებისა და ასეთი ღვინის ვაჭრობის წესის შესახებ" 1924 წ. მარტის 28-ს თარიღით გამოცემული („მთავრ. მოამბე" 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 123) დადგენილების მე-8 მუხ. შენიშვნის თანახმად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მაგარი სასმელების, მათ შორის ყურძნის ღვინის, წვრილ-წვრილი ვაჭრობის დუქანი, სადაც სასმელი იქვე ადგილობრივ დაილევა და გარედაც გამოიტანება, შეიძლება გაიხსნას ქალაქის ფარგალ-გარე როგორც დასახლებულ ადგილას, ისე დაუსახლებელ ადგილას, გზის პირად, შესაფერი საუბნო, სადაირო ან სათემო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო ნებართვით.

2. დუქნის გახსნის ნებართვა მიეცემა განსაზღვრულ დაწესებულებას ან პირს და მისი გადაცემა სხვა დაწესებულების ან პირისათვის იმ ორგანოს უნებართვოო, რომელმაც გასცა ნებართვა, არ შეიძლება. უკეთუ ასეთი გადაცემა გამოაშკარავებულ იქნა, ნებართვა ჩამოირთმევა.

3. დუქანს უნდა ჰქონდეს დაწესებული სასარეწაო პატენტი და სასმელებისა და თამბაქოს ვაჭრობისათვის არსებული განსაკუთრებული პატენტი; ამასთანავე სასმელების პატენტის აღებასთან ერთად გადახდილ უნდა იქნეს ცალკე ქვითარით განსაკუთრებული საპატენტო გამოსაღები ერთდროული აქციზისათვის, რაც დაწესებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. იანვრის 27-ს დადგენილებით „ა/კსფსრ ტერიტორიაზე დაყენებულ და მოხმარებულ ღვინოზე დადებული აქციზისათვის გადასახდევინებელი განსაკუთრებული საპატენტო გამოსაღების განაკვეთების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-რი, მუხ. 44).

4. ნებადართულია დუქანში ყურძნის ღვინის ყოველგვარ ჭურჭელში შენახვა (ბოჭკაში, რუმბში, ქვევრში და სხვ.); ამასთანავე გარედ გამოსატანად ნაყიდი ღვინო შეიძლება მყიდველის ჭურჭელშიაც ჩაისხას; გასაცემი ღვინის რაოდენობა შეზღუდული არ არის.

დუქნის პატრონის მიერ ყურძნის ღვინის ყიდვა და ჭაპანზიდვის საშუალებით გადაზიდვა მოწესრიგდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 14-ს თარიღისა და 32 №-რის დადგენილებით „ყურძნის ღვინის ჭაპანზიდვის საშუალებით გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ“.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წლის ივლისის 14. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1533 №-ში 1927 წ. ივლისის 22-ს.

დადგენილება № 51 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 16.

161. მეტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი აოგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ივნისის 8-ს თარიღისა და 132 №-რის ცირკულიარი „მეტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყოფილების გამგე **მელნიკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლის ივნისის 8. № 132.

მეტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

საზომ-საწონთა მეტრულ აღრიცხვაზე გადატანის გამო სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა:

1. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების იმ დადგენილებათა შეფარდების დროს, სადაც რუსულ საზომ-საწონთა ნიშნებია, ეს ნიშნები გადატანილ უნდა იქნეს მეტრულ თვლაზე.

2. 1927-28 სბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს:

ა) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ტეხნიკური და სანიტარული შრომის ინსპექტორებისათვის დასარიგებელ მეტრულ საზომ-საწონთა (ხეეული, ხელსაწყო, იარაღები და სხვ.) შესაძენად საჭირო ხარჯი;

ბ) სადგომების სივრცისა და კუბატურისა, მისაწოდებელი წყლის რაოდენობისა და სხვ. ამისთანა რამის გამოთვლასთან დაკავშირებული სახარჯთაღრიცხვო გამოანგარიშება უნდა სწარმოებდეს მარტოოდენ მეტრული სისტემით.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

შრ. სახ. კ-ტის საერთო სამმართველოს გამგე **კორშუნოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1533 №-ში 1927 წ. ივლისის 22-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. ივლისის 20.

162. ამერკავკასიის საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საქციო საზოგადოების ახალი სამგზავრო ტარიფის დაწესების შესახებ.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1926 წ. ივლისის 2-ს თარიღისა, 1927 წ. იანვრის 19-ს თარიღისა და 1927 წ. აპრილის 15 თარიღის დადგენილებათა (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1282, 1388 და 1459 №№-რებში) შესაცვლელად—ამა დადგენილებით დაწესებულია ა/კ. საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საქციო საზოგადოების შემდეგი ახალი სამგზავრო ტარიფი ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანისა და სამგზავრო ბაგის გადაზიდვისათვის იმ რეისებით, რომლის ექსპლოატაციასაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე ა/კ. საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოება ეწევა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ხაზის სახელწოდება	სამგზავრო ტარიფი მთელი მანძილისთვის ერთის მიმართულებით
1	ტფილის-ვლადიკავკაზი ან წინაუკმოდ	17 მან. და — კაპ.
2	ტფილის-დუშეთი ან წინაუკმოდ	6 „ „ — „
3	ტფილის-ფასანაური ან წანაუკმოდ	9 „ „ — „
4	ტფილის-ყაზბეგი ან წინაუკოდ	14 „ „ — „
5	ვლადიკავკაზ-ყაზბეგი ან წინაუკმმოდ	4 „ „ — „
6	ვლადიკავკაზ-ფასანაური ან წინაუკმოდ	10 „ „ — „
7	ვლადიკავკაზ-დუშეთი ან წინაუკმოდ	13 „ „ — „
8	ტფილის-ზაჰესი და წინაუკმოდ	3 „ „ — „
9	ტფილის-ზაჰესი (მარტო ზაჰესისაკენ)	2 „ „ — „
10	ზაჰეს-ტფილისი (მარტო ტფილისისაკენ)	1 „ „ 50 „
11	ტფილის-კოჯორი	2 „ „ — „
12	კოჯორ-ტფილისი	1 „ „ 50 „
13	ტფილის-კიკეთი	3 „ „ — „
14	კიკეთ-ტფილისი	2 „ „ 50 „
15	ტფილის-მანგლისი	7 „ „ — „
16	მანგლის-ტფილისი	5 „ „ — „
17	ტფილის-ბელი-კლიუჩ	8 „ „ — „
18	ბელი-კლიუჩ-ტფილისი	7 „ „ — „
19	ბათუმ—ზელიონი-მის ან წინაუკმოდ	— „ „ 75 „
20	ბათუმ-მახინჯაური ან წინაუკმოდ	— „ „ 50 „
21	ზელიონი-მის—მახინჯაური ან წინაუკმოდ	— „ „ 25 „
22	ბათუმ-ხულო	8 „ „ — „
23	ხულო-ბათუმ	6 „ „ — „
24	ბათუმ-აჭარისწყალი	1 „ „ 50 „
25	აჭარისწყალი-ბათუმი	1 „ „ 10 „
26	ბათუმ-კაპანდიდი	1 „ „ — „
27	კაპანდიდი-ბათუმ	— „ „ 75 „
28	ბათუმ-მახუნცეთი	3 „ „ — „
29	მახუნცეთი-ბათუმი	2 „ „ 25 „
30	ბათუმ-ქედი	4 „ „ — „
31	ქედი-ბათუმი	3 „ „ — „
32	ბორჯომ-ახალციხე ან წინაუკმოდ	5 „ „ — „

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ხაზის სახელწოდება	სამგზავრო ტარიფი მთელი მანძილისათვის ერთის მიმართულებით
33	ბორჯომ-ახალქალაქი ან წინაუკმოდ	11 მან. და — კაპ.
34	ბორჯომ-აბასთუმანი ან წინაუკმოდ	8 „ „ — „
35	სოხუმ-გაგრა ან წინაუკმოდ	9 „ „ — „
36	სოხუმ-გუდაუთი ან წინაუკმოდ	3 „ „ — „
37	სოხუმ-ახალი ათონი ან წინაუკმოდ	2 „ „ — „
38	სოხუმ-ოჩემჩირი ან წინაუკმოდ	4 „ „ — „
39	ზუგდიდი-სოხუმი ან წინაუკმოდ	10 „ „ — „
40	ჯოგოჯიანი-სოხუმი ან წინაუკმოდ	11 „ „ — „
41	ქუთაის-ონი ან წინაუკმოდ	10 „ „ — „
42	ქუთაის-ბაღდადი ან წინაუკმოდ	2 „ „ — „
43	ქუთაის-წყალტუბო ან წინაუკმოდ	1 „ „ — „
44	ქუთაის-ხონი ან წინაუკმოდ	1 „ „ 75 „
45	ხონი-სამტრედი ან წინაუკმოდ	1 „ „ 50 „
46	ხაჩმაზ-ყუბა ან წინაუკმოდ	2 „ „ 50 „
47	ევლახ-აღდამი ან წინაუკმოდ	5 „ „ 50 „
48	ევლახ-ნუხა ან წინაუკმოდ	6 „ „ 50 „
49	ევლახ-შუშა ან წინაუკმოდ	10 „ „ 50 „
50	ევლახ-სტეფანაკერტი ან წინაუკმოდ	8 „ „ — „
51	ევლახ-ბარდა ან წინაუკმოდ	2 „ „ — „
52	ნუხა-ზაქათალა ან წინაუკმოდ	8 „ „ — „
53	ევლახ-ზაქათალა ან წინაუკმოდ	14 „ „ 50 „
54	ბაქო-შემახა ან წინაუკმოდ	10 „ „ 50 „
55	ბაქო-მარდაქიანი ან წინაუკმოდ	2 „ „ 75 „
56	სურახან-მარდაქიანი ან წინაუკმოდ	1 „ „ 10 „
57	ერივან-ეჩმიაძინი ან წინაუკმოდ	1 „ „ — „
58	ეჩმიაძინ-აშტარაკ ან წინაუკმოდ	1 „ „ 10 „
59	ერივან-ყამარლუ ან წინაუკმოდ	2 „ „ 50 „
60	ერივან-დელიჯანი ან წინაუკმოდ	7 „ „ 65 „
61	ერივან-დარაჩიზაგი ან წინაუკმოდ	4 „ „ — „
62	ყარაქლის-დელიჯანი ან წინაუკმოდ	3 „ „ — „
63	ყარაქლის-სტეფანავანი ან წინაუკმოდ	3 „ „ — „
64	ერიავან-ახალბაიაზეთი ან წინაუკმოდ	7 „ „ 50 „
65	დელიჯან-აქსტაფა ან წინაუკმოდ	6 „ „ 50 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. თითო ფუთი ბარგის გადაზიდვისათვის იმ ნორმის ზედმეტად, რაც 5 კილოგრ. რაოდენობით თითო ბილეთზე უსასყიდლოდ გადაიზიდება, გადახდევინებულ იქნება სამგზავრო ბილეთის ფასის $^1/_5$ სასყიდელი. კილოგრამმის ნაწილისა და მისი გადაზიდვის ღირებულების მეტნაკლებობა შემოსწორებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: ნახევარი კილოგრამმი მიიღება მთელ კილოგრამად, ხოლო ნახევარ კილოგრამზე ნაკლები არ იანგარიშება. ნახევარი კაპიკი და ნახევარზე მეტიც იანგარიშება მთელ კაპიკად, ხოლო ნახევარ კაპიკზე ნაკლები არ იანგარიშება.

შენიშვნა 2. სასყიდელი ბავშვისათვის ასაკით სამ წლამდე გადახდევინებულ არ იქნება, უკეთუ მას ცალკე ადგილი არ უჭირავს; ხოლო, უკეთუ ბავშვს ცალკე ადგილი უჭირავს, სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს მოზრდილი მგზავრისათვის დაწესებული სასყიდლის ნახევარი რაოდენობით. სასყიდელი ბავშვისათვის ასაკით 3 წლიდან 10 წლამდე ამიანად—გადახდევინებულ უნდა იქნეს მოზრდილი მგზავრისათვის დაწესებული სასყიდლის ნახევარი რაოდენობით. 10 წლისაზე უფროსი ბავშვის გადაყვანისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს მოზრდილი მგზავრისათვის დაწესებული სასყიდელი.

პროფესიონალურ კავშირთა იმ ავადმყოფ წევრთა გადაყვანისათვის, რომელთაც სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს საგზაო მოწმობა ექნებათ, დაწესებულია შემდეგი შეღავათიანი ტარიფი:

1. ბორჯომი—აბასთუმანი ან წინაუკმოდ . . . 6 მან. და 50 კაპ. მგზავრ.
2. ბორჯომ—არაზინდო ან წინაუკმოდ . . . . 7 მან. და 50 კაპ. მგზავრ.
3. ერივან—დელიჯანი ან წინაუკმოდ . . . . . 7 მან. და — კაპ. მგზავრ.

ექსკურსანტების გადაყვანისათვის დაწესებულია შემდეგი შეღავათიანი ტარიფი:

1. ა/კ. პროფკავშირთა საბჭოს განწესებით ა/კსფსრ ექსკურსანტების გადაყვანისათვის წელიწადში არა უმეტეს 5.000 კაცისა:

1. ტფილის—ვლადიკავკაზი	და	წინაუკმოდ	26	მან.	და —	კაპ. ექსკურს.
2. ტფილის—კოჯორი	„	„ .	3	„	„ —	„ „
3. ტფილის—ზაჰესი	„	„ .	2	„	„ 50	„ „
4. ბათუმ—ზელიონი-მის	„	„ .	1	„	„ 15	„ „
5. ევლახ—ნუხა	„	„ .	11	„	„ —	„ „
6. ევლახ—სტეფანაკერტ	„	„ .	13	„	„ —	„ „
7. ბაქო—შემახა	„	„ .	15	„	ტვირთმზიდავზე და	
			18	„	ავტობუსზე.	

საექსკურსიო ტარიფი ესე დაწესებულია ჯგუფობრივი გადაყვანისათვის; —ამასთანავე ექსკურსანტების თითო ჯგუფში უნდა იყოს აუცილებლად ან—13 ან 26 კაცი.

2. რუსეთის სფსრ ექსკურსიებისათვის, არა უმეტეს 2.000 კაცისა, დაწესებულია შემდეგი ტარიფი: ვლადიკავკაზ—ყაზბეგი და წინაუკმოდ 5 მან. ექსკურსანტზე.

3. ა/კ. საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო საააქციო საზოგადოების მიერ დადებული ხელშეკრულებით დაწესებული ტარიფი ვლადიკავკაზიდან ტფილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამდე რუსეთის სფსრ ექსკურსანტების გადაყვანისათვის—14 მან. ექსკურსანტზე უცვლელად ძალაში რჩება.

4. ექსკურსანტების სხვა იმ ხაზებით გადაყვანა, რაც ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის, მოხდება განსაკუთრებული ტარიფით ა/კ. საავტ.-საავ.-სამრ. საავტო საზ-თან შეთანხმებისამებრ, ხოლო ეს შეთანხმება დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის გამწესრიგებელ სხდომაზე.

ტარიფი ესე დაწესდება ვადით 1928 წ. იანვრის 1-დე, სამოქმედოდ შეიმოიღება ა/წ. ივლისის 29-დან, სავალდებულოა ყველასათვის და შეიძლება შეცვლილ იქნეს მთლად ან ნაწილობრივ მხოლოდ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში, რაც განსაზღვრული წესისამებრ გამოქვეყნდება.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერმიკაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი უფროსი ეკონომ. **ვერდერევსკი.**

1927 წ. ივლისის 22. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1535 №-ში 1927 წ. ივლისის 24-ს.

დადგენილება № 34 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

163. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შემდეგი შედგენილობა: საბჭოს თავმჯდომარე—ა. ლ. ბანოვი; აბჭოსწევრნი: 1) ე. ბ. შეფტელი—ა/კ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელი; მისი მოადგილე—ი. ლ. იზრაელი; 2) ნ. ო. უსტიევი—რკ. გზ. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი; მისი მოადგილე ა. ნ. ჯიჯაძე (მედ.-სან. შრ. მომუშავეთა კავშ.); 3) პ. ი. მეშკოვი—სამთა-მადნო მომუშავეთა კავშირის წარმომადგენელი; მისი მოადგილე—ნაუმანი (წყალ. ტრანსპ.); 4) ი. ე. რიბკინი; მისი მოადგილე გ. ლ. ტიფერისი აზერბ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომად.); 5) ს. ნ. ხვედელიძე; მისი მოადგილე—ი. მ. ჭელიძე (საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომ.); 6) ჰ. მ. კუზნეცოვი; მისი მოადგილე—მანუჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანი (სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს წარმ.); 7) ილდრიმ ჩინგიზი; მისი მოადგილე—მაგ. ხალილოვი (აზერ. სსრ სმუს წარმ.); 8) საკაინი; მისი მოადგილე პევცოვი (საქართველოს სსრ სმუს წარმომადგ.); 9) თარუმიანი; მისი მოადგილე გ. დ. ხარატიანი (სომხეთის სსრ სმუს წარმომ.); 10) ე. ბ. გენკინი; მისი მოადგილე—ალამალოვი (ა/კ. ფინ. სახ. კ-ტის წარმ.); 11) გ. ი. ჩხეიძე; მისი მოადგილე—ხაჩიეიანი (სსრკ გზათა სახ. კ-ტის რწმუნ. (ა/კსფსრ-ში) წარმომ.); 12) ასკერ სულთანივი; 13) გ. ლ. კუჭაიძე; მისი მოადგილე—ი. ს. ფრანგულიანი (საქართველოს სსრ ჯანმრთ. სახ. კ-ს წარმომ.); 14) გ. ა. ჯალლადიანი; მისი მოადგილე—ხ. ნ. ფირუმოვი (სომხეთის სსრ ჯანმრთ. სახ. კ-ტის წარმომ.).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. ივლისის 21. ტფილისი- სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1537 №-ში 1927 წ. ივლისის 28-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

164. ჭიათურა-საჩხერის უბნით მუშათა და მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი 45 (04) №-რის ტარიფის აღდგენის შესახებ; ეჩმიაჯინის კარიერიდან ქვიშის გადაზიდვისათვის გადასახდელი დამატებითი გამოსაღების ა/კ. რკ. გზ. 53 №-რის ტარიფის განგრძობის შესახებ; მომდინარე წლის საზაფხულო პერიოდში შეშის გადასაზიდავად არსებულ ა/კ. სრ. გზ. ადგილობრივ წამახალისებელ საპრემიო ტარიფში ერივნის კომუნალური ტრესტის მოთავსების შესახებ.

ჭიათურა-საჩხერის უბნით მუშათა და მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი 45 (04) №-რის ტარიფის აღდგენის შესახებ.

ჭიათურა-საჩხერის უბნით მუშათა და მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის შემოღებული ა/კ. რკ. გზის ადგილობრივი 45 (04) №-რის ტარიფი, რაც დაწესებულ იქნა ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1926 წ. მაისის 24-ს თარიღისა და 22/6 №-რის დადგენილებით, ვადით 1927 წ. ივნისის 2-დე, და რაც გამოქვეყნებულია გზზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1185 №-ში 1926 წ. მაისის 27-ს და ტარიფთა კრებულის 379 №-ში 7334 №-რის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიფად,—ამა დადგენილებით აღდგენილ იქნეს უცვლელად ექვსი თვის ვადით და სამოქმედოდ შემოღებულ შვიდი დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ეჩმიაძინის კარიერიდან ქვიშის (ჯგ. 38, პოზ. 27) გადაზიდვისათვის გადასახდელი დამატებითი გამოსაღების ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი 53 (04) №-რის ტარიფის განგრძობის შესახებ.

ეჩმიაძინის კარიერიდან საზ. „შინარარი"-ს საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ქვიშის (ჯგ. 38, პოზ. 27) გადაზიდვისათვის გადასახდელი ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი 53 (04) №-რის ტარიფი, რაც დაწესებულია ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1927 წ. იანვრის 11-ს თარიღისა და 1-ლი №-რის დადგენილებით ვადით 1927 წ. ივლისის 13-დე, და რაც გამოცხადებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1378 №-ში 1927 წ. იანვრის 14-ს და ტარიფთა კრებულის 406 №-ში 8495 №-რის ტარიფად,—ამა დადგენილებით განიგრძობა უცვლელად ექვსი თვის ვადით, 1928 წ. იანვრის 13-დე.

მიმდინარე წლის საზაფხულო პერიოდში შეშის გადასაზიდად არსებულ ა/კ. რკ. გზის ადგილობრივ წამახალისებელ საპრემიო ტარიფში ერივანის კომუნალური ტრესტის მოთავსების შესახებ.

ამა დადგენილებით ერივნის კომუნალური ტრესტი მოთავსებულია მიმდინარე წლის საზაფხულო პერიოდში შეშის გადასაზიდავად შემოღებულ ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ წამახალისებელ საპრემიო ტარიფში, რაც დაწესებულია ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1927 წ. ივნისის 2-ს თარიღისა და მე-4 №-რის დადგენილებით და რაც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1498 №-ში 1927 წ. ივნისის 10-ს; ამასთანავე ერივნის კომუნალურმა ტრესტმა უნდა შეასრულოს ყველა ის წესი, რაც განსაზღვრულია აღნიშნული ტარიფით.

დადგენილება ესე ძალაში შედის შვიდი დღის გასვლისას მისი გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის თანამდებობის აღმ. **ტერმიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
საქმეთა მმართველის თან. აღმ. უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

1927 წ. ივლისის 23. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1537 №-ში 1927 წ. ივლისის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

165. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და შარაგზების დანაწილებისა და მათთვის მიჩენილი ზოლის ნორმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განსაზღვრულ იქნეს შემდეგი ნორმები ა/კსფსრ გზატკეცილებისა და შარაგზების დანაწილებისა, წესი ამ გზების სიების შედგენისა და დამტკიცებისა და ნორმები ამავე გზებისათვის მისაჩენი ზოლებისა.

I. გზების დანაწილება.

მუხ. 1. ყველა გზები, რაც-კი ა/კსფსრ ტერიტორიაზე გადის, განაწილდება 3 კატეგორიად:

1. საერთო-საკავშირო გზები.
2. რესპუბლიკანური გზები.
3. ადგილობრივი გზები, მათ შორის: ა) სამაზრო გზები; ბ) სადაირო-საუბნო-სათემო და სასოფლო გზები; გ) სამინდვრე გზები და სპეციალური დანიშნულების გზები.

მუხ. 2. გზატკეცილები, მოკირწყლული გზები და შარაგზები განიყოფებიან კატეგორიებად შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1-ლი კატეგორია—საერთო-საკავშირო გზები:

ა) სახელმწიფო მნიშვნელობის გზები, რომლებიც მომსახურეობას უწევენ საერთო-საკავშირო ადმინისტრატიულ, ეკონომიურ და სამრეწველო მოთხენილებათ; ასეთი გზები არიან უაღრესი მნიშვნელობის მქონე, რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტისაკენ მიმავალი გზები; ბ) სტრატეგიული მნიშვნელობის გზები.

მე-2 კატეგორია—რესპუბლიკანური გზები:

ა) ისეთი გზა, რომელსაც ადმინისტრატიული მნიშვნელობა აქვს მთლად რესპუბლიკისა ან მისი დიდი ნაწილის ცხოვრებისათვის; ბ) ისეთი გზები, რომლებსაც რესპუბლიკის ცხოვრებასათვის სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ და ინტენსიურ ტვირთზიდვას იწვევენ, მათ შორის დანარჩენი მაკავალი გზები; ბ) საფოსტო გზები რესპუბლიკანური მნიშვნელობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 კატეგორია—ადგილობრივი გზები:

ა. სამაზრო გზები.

ა) ისეთი გზა, რომელსაც ადმინისტრატიული მნიშვნელობა აქვს მთლად მაზრისა ან მისი დიდი ნაწილის ცხოვრებისათვის; ბ) ისეთი გზა, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მაზრისთვის; გ) საფოსტო გზები სამაზრო მნიშვნელობისა.

ბ. სადაირო-საუბნო-სათემო გზები.

ა) ისეთი გზა, რომელსაც ადმინისტრატიული მნიშვნელობა აქვს უწყებული დაირისა, უბნისა და თემისათვის; ბ) ისეთი გზა, რომელსაც სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს დაირისა, უბნისა და თემისათვის; გ) საფოსტო გზა სადაირო, საუბნო და სათემო მნიშვნელობისა.

სასოფლო გზები.

ა) ყველა ის გზა, რომელიც სოფელს სოფელთან აერთებს და შეტანილი არ არის სადაირო-საუბნო-სათემო გზების სიაში; ბ) ის გზები, რომლებიც სოფლებს უმაღლესი კატეგორიის გზებს უერთებენ.

გ. სამინდვრე გზები.

ა) ისეთი გზა, რომელიც მომსახურეობას უწევს მარტოოდენ ამა თუ იმ მიწათსარგებლობის ერთეულის საჭიროებას და ამ ერთეულზე გადის.

სპეციალური დანიშნულების გზები.

ა) ისეთი გზა, რომელიც მომსახურეობას უწევს მარტოოდენ ამა თუ იმ უწყების ან საწარმოს (კურორტი, საბჭოთა მეურნეობა, ქარხანა, ფაბრიკა, შახტა, ტყის დამზადების ადგილი და სხვ.) ინტერესებს.

მუხ. 3. უკეთუ ხელოვნურად შემოსილი გზა (გზატკეცილი, მოკირწყლული გზა) საკმარისად დიდი მანძილისაა, იგი მიეკუთვნება შემდგომ უმაღლეს კატეგორიას, თუნდაც, სხვა ნიშნების მიხედვით, იგი ამ კატეგორიას არ უნდა ეკუთვნოდეს.

შენიშვნა. დიდი და კონსტრუქტიულად რთული საგზაო ნაგებობა შეიძლება იყოს უმაღლესი კატეგორიისა, ვიდრე ის გზა, რაზედაც ეს ნაგებობაა.

მუხ. 4. 1-ლი კატეგორიის გზატკეცილები და შარაგზები ინახება იმ სახსარით, რაც გადადებულ იქნება საერთო-საკავშირო ბიუჯეტით; მე-2 კატეგორიის გზები—რესპუბლიკანური ბიუჯეტის ხარჯით; მე-3 კატეგორიის გზები (ადგილობრივი)—კუთვნილებისამებრ—სათანადო სახსარით: სამაზრო—სამაზრო ბიუჯეტის ხარჯით; სადაირო-საუბნო-სათემო-სადაირო-საუბნო-სათემო ბიუჯეტის ხარჯით; სასოფლო, სამინდვრე და სპეციალური დანიშნულების გზები—სოფლის საზოგადოებისა და იმ მიწისმოსარგებლეთა ხარჯით, ვის მამულზედაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესა თუ ის გზა გადის და იმ უწყებისა და საწარმოს ხარჯით, რომელსაც ესა თუ ის გზა მომსახურეობას უწევს.

შენიშვნა. უკეთუ ამა თუ იმ კატეგორიის გზაზე გამართული ხელოვნური ნაგებობა წყალზე გადასვლისა ან სხვა რამისათვის გადარიცხული იქნება უმაღლეს კატეგორიაში, ამ ნაგებობის შენახვა დაეკისრება იმ ბიუჯეტს, რომელიც შეესაბამება ამ უმაღლეს კატეგორიას; ამასთანავე გადარიცხვა უნდა მოხდეს მე-5 მუხლში აღნიშნული წესით.

II. გზების სიის შედგენა და დამტკიცება.

მუხ. 5. საერთო-საკავშირო და სტრატეგიული მნიშვნელობის გზებისა და ნაგებობის სია შემუშავებულ იქნება სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოს მიერ, შეთანხმებულ იქნება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან, და, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ, წარედგინება, გზათა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასამტკიცებლად.

საერთო-საკავშირო გზების დამტკიცებული სიები დაეგზავნებათ სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ცნობისათვის.

მუხ. 6. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სიას შეიმუშავებს რესპუბლიკანური სახალხო კომისართა საბჭო და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) შეთანხმებით.

მუხ. 7. სამაზრო მნიშვნელობის გზების სიას შეიმუშავებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხ. 8. სადაირო-საუბნო-სათემო და სასოფლო გზების სიას შეიმუშავებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, სათანადო სადაირო-საუბნო-სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მონაწილეობით, და დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხ. 9. სამინდვრე გზების სიას შეიმუშავებს სადაირო-საუბნო-სათემო აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

შენიშვნა. ის სამინდვრე გზა, რომელიც მომსახურეობას უწევს ერთ რომელიმე მიწათსარგებლობის ერთეულს და მის საზღვრებში გადის, დამტკიცებას არ საჭიროებს.

მუხ. 10. სპეციალური დანიშნულების გზების სიას შეიმუშავებს ამ გზებით დაინტერესებული უწყება თუ საწარმო, სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, და დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა. სპეციალური დანიშნულების გზა, რომელიც ერთ რომელიმე მიწათსარგებლობის ერთეულზე გადის, არ საჭიროებს სამაზრო აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებას და სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებას.

მუხ. 11. იმ დრომდე, ვიდრე გზათა სიები მე-5—10 მუხლ. თანახმად გადაისინჯებოდეს, გზათა არსებული ქსელი უცვლელად რჩება.

შენიშვნა. გზათა სიების დამტკიცების შემდეგ, რესპუბლიკანური გზის სამაზრო გზებში გადარიცხვა და სამაზრო გზის რესპუბლიკანურ გზებში გადარიცხვა მოხდება ამა დადგენილების მე-II კარის წესისამებრ (მარტოოდენ სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით).

III. მიჩენილი გზის ზოლი.

მუხ. 12. გზის ზოლს შეადგენს: გზის სავლელი ნაწილი, გზის გვერდული და ბექობი, სანაპირე არხი და ჩამონაკეთი.

მუხ. 13. ყოველი კატეგორიის გზისთვის დანიშნულია განსაზღვრული ზოლი:

ა) 1-ლი და მე-2 კატეგორიის გზისთვის—გაშლილ ადგილას—არა უმეტეს 40 მეტრისა. ტყიან ადგილას—არა უმეტეს 60 მეტრისა;

ბ) მე-3 კატეგორიის გზისათვის: სამაზროსათვის—გაშლილ ადგილას—არა უმეტეს 20 მეტრისა, ტყიან ადგილას—30 მეტრისა; სადაირო-საუბნო-სათემო და სასოფლო გზისთვის—გაშლილ ადგილას—არა უმეტეს 10 მეტრისა; ტყიან ადგილას და აგრეთვე იქ, სადაც, გზის გაყვანისა და ექსპლოატაციის პირობების მიხედვით, საჭიროება მოითხოვს,—არა უმეტეს 20 მეტრისა;

გ) სამინდვრე და სპეციალური დანიშნულების გზებისთვის—არა უმეტეს 20 მეტრისა.

მუხ. 14. ყოველი კატეგორიის გზას, სადაც კი ხეებია დარგული, არსებული ნორმა ზოლისა არ უნდა შეუმცირდეს.

მუხ. 15. ყოველი კატეგორიის გზისთვის, რომელიც კი დასახლებულ ადგილას გადის, მისაჩენი ზოლის დანორმვა მოხდება საქალაქო და სასოფლო დაგეგმვის წესების თანახმად.

მუხ. 16. ციხისა და სიმაგრის რაიონის ფარგლებში ყოველი კატეგორიის გზის ზოლის სიგანე შეთანხმებულ უნდა იქნეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან.

მუხ. 17. 1-ლი კატეგორიის გზატკეცილებისა, მოკირწყლული გზებისა და შარაგზების ზოლები, ყველა საგზაო ნაგებობითა და შენობითა, აგრეთვე ამ ზოლებზე აღმოცენებული ტყეებითა არის მარტოოდენ გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების გამგებლობაში; მე-2 კატეგორიის გზების ზოლები—რესპუბლიკანური გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში; მე-3 კატეგორიის გზების ზოლები—ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში: სამაზრო, სადაირო-საუბნო-სათემო გზების ზოლები—სითანადო სამაზრო, სადაირო-საუბნო-სათემო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში; სასოფლო გზების ზოლები—სათანადო სასოფლო საბჭოს გამგებლობაში, ხოლო სათანადოვე სადაირო-საუბნო-სათემო აღმასრულებელი კომიტეტის კონტროლით; სპეციალური დანიშნულების გზების

ზოლები—იმ უწყებისა ან საწარმოს გამგებლობაში, რომლის ინტერესებსაც ეს გზები მომსახურებას უწევენ, ხოლო სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის კონტროლით.

იმ ორგანოს უნებართვოდ, რომლის გამგებლობაშიაც გზა არის, ამ გზისათვის მიჩენილი ზოლი არავის არ შეუძლიან გამოიყენოს.

ის ნაკვეთი გზის ზოლისა, რომელიც დროებით ჯერ კიდევ უშუალოდ დაჭერილი არ არის საგზაო გამართულობისა, მასალის საწყობისა და სხვა ამგვარ რამისათვის, სათანადო საგზაო ორგანოს ნებართვით, გადაეცემა დროებითი სარგებლობისათვის იმ მიწათმოსარგებლეს, რომლის მამულსაც ეს გზა აკრავს, ან რომლის მამულზედაც გზა გადის.

შენიშვნა. იმ გზის ზოლის ფარგალში, რომელიც ციხისა და სიმაგრის რაიონში გადის, საგზაო ორგანო ამა თუ იმ განკარგულებას მოახდენს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხ. 18. უკეთუ საგზაო ნაგებობის ხასიათის მიხედვით (მაღალი ბეკობი, ღრმა ჭრილი, ნაკადმისაშვები ჯებირის აგება, ნაპირების გამაგრება, საგზაო შენობის აგება, ამოშრობა, კარიერების დამუშავება და სხვ.) ამა დადგენილებით განსაზღვრული მისაჩენი ზოლი საკმარისი არ იქნება, საგზაო ორგანო, არსებული წესისამებრ აღძრავს დასაბუთებულ შუამდგომლობას მისაჩენი ზოლის გაფართოების შესახებ.

მუხ. 19. უკეთუ ესა თუ ის გზა, ადგილობრივი ეკონომიური ცხოვრების განვითარებისა, ან რესპუბლიკაში ადმინისტრატიული ცენტრების გადანაცვლებისა, ან და ტეხნიკური ნიშნების გამო უმაღლეს კატეგორიაში იქნება გადარიცხული, მიჩენილი ზოლი შეიძლება გადიდებულ იქნეს გზის ახალი კატეგორიის მიხედვით.

მუხ. 20. უკეთუ გზა გაუქმებულ ან გადარიცხულ იქნა დაბალ კატეგორიაში, ამის გამო განთავისუფლებული მიწა შეეა იმ მიწათსარგებლობის ერთეულის შედგენილობაში, რომელზედაც ეს გზა გადის ან რომელსაც იგი ეკკრის.

მუხ. 21. კატეგორიების მიხედვით შედგენილი გზათა სიების დამტკიცების შემდეგ, გზებისთვის მიჩენილი ზოლების საზღვრების გამოყოფა და მიკუთვნება კატეგორიების თანახმად, მოხდება იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია „ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ“ გამოცემული დებულებით (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 65 №-რი, მუხ. 478).

მუხ. 22. ახალი გზების გაყვანისა, არსებული გზების, ამა დადგენილების მე-18 მუხლის წესისამებრ, გაფართოებისა და, აგრეთვე, ამა თუ იმ გზის, მე-19 მუხლის მიხედვით, უმაღლეს კატეგორიაში გადარიცხვის დროს საგზაო ზოლის მიჩენა მოხდება მიწათმოწყობის წესით.

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კესტრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ივლისის 6.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1539 №-ში 1927 წ. ივლისის 30-ს.

დადგენილება აკ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. ივლისის 27 № 11/P.

166. შავიქვის დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის ფოთი-პორტის სადგურისაკენ (ჩრდილოეთი ზღუდე) მიმავალი საერთო სარგებლობის ჩრდილო-სანაპირო შტოზე ვაგონების მისაყენებლად და აგრეთვე მანქფის საშენი წვრილმანეულობის ვაგონობით გადაზიდვისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ამა დადგენილებით დაწესდება შემდეგი ადგილობრივი ტარიფი ფოთი-პორტის ჩრდილოეთ ზღუდეზე შავიქვის დასატვირთად და გადმოსატვირთად ვაგონების მიყენებისათვის:

ა) ორთქლმავლის მუშაობისათვის კილომეტრ-მანძილზე თითო მანეთი ერთი მიმართულებით;

ბ) ვაგონის მსვლელობისათვის, როდესაც 10-მდე ვაგონია, 1,5 კაპ. თითო ვაგონსა და კილომეტრზე ერთი მიმართულებით;

გ) თვითეული ვაგონის მსვლელობისათვის, როდესაც 10 ვაგონზე მეტია, ხუთ-ხუთი კაპ. ვაგონსა და კილომეტრზე ერთი მიმართულებით.

შენიშვნა. ვაგონების მიყენება და დალაგება ითვლება ორსავე მიმართულებისათვის; არასრული კილომეტრი ითვლება სრულ კილომეტრად.

მანქაფის საშენი წვრილმანეულობის ვაგონობით გადაზიდვისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

მანქაფის საშენი წვრილმანეულობის (ტარიფ. კრ. მე-II ნაწ., ჯგუფი 41, პოზ. მე-18) გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლაში, ლენინაკანისა და ანისის სადგურებიდან ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურამდე, ა/კ. რკ. გზ. საპორტო და სასაზღვრო სადგურებამდე გადაზიდვის გამოკლებით, ამა დადგენილებით დაწესებულია ადგილობრივი ტარიფი მომქმედი სატარიფო სისტემის 24 კლასის მიხედვით.

ა/კ. რკ. გზ. 64 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფი მანქაფის საშენი წვრილმანეულობის გადაზიდვისათვის არა უმეტეს 1.500 ვაგონისა ა/კ. რკ. გზ. ანისისა და ლენინაკანის სადგურებიდან ბელიჯის სადგურამდე 28 კლასის მიხედვით, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1456 №-ში 1927 წ. აპრილის 20-ს და ტარიფთა კრებულის 419 №-ში 9041 სატარიფო ნომრით,—ძალაში რჩება უცვლელად ვადის გასვლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიფი ესე სამოქმედოდ შემოიღება შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების ზამოქვეყნების დღიდან ვადით 1928 წლის ოქტომბრის 1-დე.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათ-
ბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერმიკაელიანი.**

საუწყ.-სატარ. თათბ. საქმეთა მმართ.
თან. აღმ. უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

ტფილისი. 1927 წ. ივლისის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1539 №-ში 1927 წ. ივლისის 30-ს.

დადგენილება № 52 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 18.

167. ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წლის მაისის 9-ს თარიღისა და 110 №-რის დადგენილება „ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ".

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრ. სახ. კ—თან არსებული ა/კ. სოც. დაზღვ.
მთავ. სამმართველოს უფრ. მოადგილე **თუშიშვილი.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 110 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1927 წ. მაისის 9.

ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. ხოლერისა, პარატიფიანი სახადისა, საოფლისა, ქუნთრუშისა, კეთრისა, ციმბირის წყლულისა და მალარიის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მომუშავე სამედიცინო პერსონალის პირნი, უკეთუ მათ ინვალიდობა დაემართათ ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მუშაობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ იმ ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. იანვრის 3-ს თარიღისა და 2/500 №-რის დადგენილებით „იმ შრომის ინვალიდთა უზრუნველყოფის ნორმების შესახებ, რომელთაც მყარი შრომის უუნარობა დაემართათ შრომის გამო დაშავებისაგან და აგრეთვე დაშავებისაგან გარდაცვალებულ მუშამოსამსახურეთა ოჯახის წევრების უზრუნველყოფის ნორმების შესახებ“ („სსრკ შრ. სახ. კ—ტის იზვესტია“-ს 1924 წ. 1-ლი №-რი).

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრნი, უკეთუ მათი მარჩენალი გარდაიცვალა ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მუშაობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ იმ ნორმების მიხედვით, რაც შრომის გამო დაშავებისაგან გარდაცვლილულ პირთა ოჯახის წევრთათვის დაწესებულია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. იანვრის 3-ს თარიღისა და 2/500 №-რის დადგენილებით.

3. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდება იმ პირებზე, რომელთა ინვალიდობაც დადასტურებულია 1927 წ. იანვრის 1-ს შემდეგ. აგრეთვე იმ ოჯახთა წევრებზე, რომელთა მარჩენალნიც აღნიშნული ვადის შემდეგ გარდაიცვალნენ.

სოციალური დაზღვევის საკავშირო
საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩინოვი.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1540 №-ში 1927 წ. ივლისის 31-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 2140. დაიბეჭდა 800.